ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №715284

ნომერი: AR1135368

თარიღი : 30.05.2013

გაცემის თარიღი : 10.06.2013

გაცნობის თარიღი : 10.06.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 81 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ჯულუხაძე პ/ნ 01012017852
- თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორ. 1 ბ. 106

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1135368 30.05.2013 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ქ. #81–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.18.09.003.002 კომერციული დანიშნულების ობიექტის განთავსებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე სამსახურის მიერ #592285 20.03.2013 გადაწყვეტილებით გეთქვათ უარი, ვინაიდან საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ 2009 წლის 18 თებერვლის #104 საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით ტერიტორია მოქცეული იყო თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთიდან 100 მეტრიან ზოლში, სადაც 2009-2011 წლიდან იგეგმებოდა გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების გატარება.

აღნიშნული გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის #871 08.05.2013 განკარგულებით, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 ოქტომბრის #1903 განკარგულებით განხორციელებული ცვლილების შედეგად თბილისი–რუსთავის მონაკვეთი ამოღებული იქნა შეზღუდვის ზონიდან.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის #340 დადგენილებით ცვლილება შევიდა ,,საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია – მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის №104 განკარგულებაში, რომლის შესაბამისადაც თბილისი–რუსთავის მონაკვეთი, მათ შორის მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.18.09.003.002 კვლავ მოექცა შეზღუდვის ზონაში. გამომდინარე ზემოთქმულიდან შეზღუდვის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარების საკითხის განხილვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტის დასრულების შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.